

XCP

1202.

თველთა მინისტრის გამოცემა № 35.

# იბაზ-არაპნი

გადმოკეთებული

თავ რაფიელ ერისთავის-მეიდ

---

ტეილისი

საქართველოს მთავრობის მინისტრის გამოცემა

1896

1202

ქართველთა მმანავობის კამოცემა № 35.

XII, ፲  
2322

Расим  
перег. Р. Аристова.

# იმპ-ურავნი

24+94  
1720

გადმოცემული

თავ რაფიელ ერასთავის-მეიდ



ტფილისი

1896

Дозволено цензурою. Тифлисъ, 30 апрѣля 1896 г.



0813-161360

1878

82A. 353.1 - 191



தமிழ் வெள்ளுக்கால  
(முறை)

036686-8680

8781

F-124.597  
3



საქართველოს კულტურის  
მინისტრის ბიბლიოთეკა



## გლეხი-კაცი და მეღა



ლეხი-კაცი მიღიოდა, შემოეყარა მეღასა,  
თავი დაუკრა, დაუწყო მუსაიფი კუდ-გრძელასა:  
„ნათლის-დედა აღლეგრძელოს!

ღმერთმა კკვაზედ დააყენოს!...

სად ყოფილხარ, რას დადიხარ, რას სუნსულებ, შე<sup>გულმკედარო?</sup>  
ქურდობისთვის სული მიგდის, აგრე უნდა სულ იპა-  
რო?...

მებრალები, მეწყალები, სწორედ მე და ჩემმა სულმა!...  
მართალს გეტყვი მე პირშია, თუნდ გამლანძლო  
გულმოსულმა;

შენს ხელობას სირცხეილი სდევს, საფრთხეა და არ  
აქვს ხევი,  
მასთან ცოდო დიდი აძევს, ყველასაგან საკიცხავი,  
მუდამ ფრთხილობა არ დასტოვო, საქათმოში, მრე-  
<sup>ში ტყავი,</sup>  
უშიშრადაც სადილ-გახშამს ხომ ეერა სჭამ, შენ,  
ბეჩავი!...

ამ ტანჯვათ კი ღირს ყველა ქათმები!“...

— „რა ვქნა, ნათლიავ,—მიუგო მეღამ —

გაგიგონია ტყუილი ხმები...  
 ყბად ამომილო, ეხედავ, სუჟექტამ...  
 მგლების ცოდოც კი მე შემომწამეს,  
 ტყუილის ცილით ბევრჯელ მაწამეს!...  
 ჩემი სიმართლე შენ რომ იცოდე,  
 ჩემის ცოდვისგან უნდა იწოდე!...  
 ობლების ყოლა და გაჭირება, ღმერთს გეფიცები,  
 ძლიერ ძნელია!..  
 რა ექნა, მე ეხედავ, რომ ქურდობაზედ უნდა აყილო  
 ეხლა ხელია...  
 თუდა ვიქურდო, ჩემო ნათლიავ, მაშინ მოგიკედეს  
 შენი მელია!...“

„თუ საქმეს იჭერ შენ მადლიანსა,  
 — მიუგო გლეხმა წმინდის გულითა —  
 მე პურს გიშოგნი სამართლიანსა,—  
 არც გაყიდეინებ ამას ფულითა....  
 მოლი ჩემთანა,—  
 უცხო ხარ განა?...  
 შენ ჩაგაბარებ მე საქათმოსა,  
 თაგვებს ბევრს გაჭმევ, მაწონ და დოსა —  
 და იგორავე, ჩემო მელიავ,  
 როგორც ერთოში კარგი უველია!...“  
 შეკრეს პირობა,  
 რომ გულ-ძეირობა  
 არ შემოსელოდათ ნათლიერებსა,  
 არ გაეკიცხათ მეჭორეებსა,  
 უჯამავიროდ დადგა მელია....“

(ან ჯამაგირი რა სათქმელია?...) სულ იშვი  
 მელამ დაიწყო ყარაულობა, ცეკვა  
 გასუქდა მელა,  
 (ჰკვირეობს სუყველა...)  
 მაგრამ სიმართლე ეტ მოიხელა!..  
 და დღა გულზედ მას ლუკმა წმინდა,—  
 მოუპარავი ლუკმა მოსწყინდა!—  
 და გაათავა მით სამსახური,  
 რომ ერთს ბნელს ღამეს ჩერენი მსახური,  
 ადგა, მოიხმო ტყიდგან მელები  
 და ყველა ქათმებს დასჭრა ყელები!..

---

სკინიდისის მექონესა, მუდამ აეი საქმე სძულსა,  
 „აესა კაცსა, აეი სიტყეა, ურჩევნია სულსა, გულსა!“  
 ქურდს ქურდობა ურჩევნია, მამის სულსა დედის  
 სულსა,  
 თუნდა მილიონი მისცე, არ მოიშლის ის სუნსულსა!...  


---

## ს ა ზ ა ნ დ ო ე ბ ი

**Q**ამუნმა, დათვმა და თხამ მოიწეოეს ვირი,  
 იშოენეს დაფი, ქამანჩა, ნალარა და სტეირი.  
 საზანდრობა დააპირეს, დასხდნენ ცაცხვის ძირსა,  
 დაუკრეს, დაჰკრეს, გაუსევეს, ჩაჰბერეს საყვირსა....  
 — „მოიცათ, ძმებო, — ყეირის თხა — აი, ხათაბალა!..

ჩეენი დაკურა რას ივარგებს, სხდომა მეგეეშალა...  
 დათეო, ბიძიავ, აქ მოდი, გვერდო მოუჯექ სტეირსა.  
 მეც ახლო წამოეჩიდები, მხარს დავუჭერ ვირსა...  
 მაშინ ჩეენი საზანდრობა გააშტერებს ყევლას,  
 მთა და ბარი აცეკვდება, ტყეც დაიწყებს ლხენას...“

ადგილები შეიცეალეს,  
 საკრავი არ შეიწყალეს,  
 წაუსვეს და წამოუსვეს,  
 დაპბერეს, დაფს ამოუსვეს,  
 მაგრამ მათი საზანდრობა,  
 იყო მხოლოდ ყურთა მტრობა!...

„მოიცათ, ძმებო,—იძახის ვირი,—

აბა რა არის აქ გასაჭირი?...“

ასე კი არა... ჩეენ დავსხდეთ მწკრიეალ...

ნუ მოეყპრობით საქმეს გულ-ციგად...

დავუკრათ მძიმედ, წყნარად და წყნარად

და მაშინ ჰნახაეთ...“

ჩამოსხდნენ მწყარად,  
 მაგრამ არ იქნა, ვერ ატყბდეს სმენა,

შემოერიათ შფოთი და წყენა...“

ამ დროს, უეცრად, გაჩნდა ბულბული...

შესძახეს ყველამ: „აცხონე სული!

მიიღე მცირე რამ მოთმინება...“

გესურს საზანდრობა და მოლხინება...“

ყველა ნაირი გვაქეს საკრაეები:

დაფი, ქამანჩა, სტეირი, ნალარა,

და დაკურაც ვიცით,—სხდომა ალარა...“

ველარ გაერთოით ამას თავები...  
გვასწავლე სხდომა...“

მაშინ ბულბულმა  
მიუგო მხეცებს: „ყველა სულდგმულმა,  
სამს იქონიოს კოდნა და გული...“

(ასეა თქმული...)

და უნდა ჰქონდეს ნაზი ყურები...  
უამისოდ კი, თუნდ მწერიეად დასხდეთ,  
ვერ ისაზანდრებთ, თუნდ ჯაფით გაწყდეთ,—  
მაინც დარჩებით მხეცნი—ეირები!...“

## მ გ ე ლ ი დ ა მ ე ლ ა

**Q**ავიმეტებთ, რაც არ გვინდა,  
მარდად, სიხარულით გაეცემთ,  
გამოსადევს არ ვის მივცემთ,  
გინდა იყოს ძველი წინდა.

ქათმით გამოძლა მელია  
და მოიღერა ყელია; (ძევს დაინიშნე კარ)  
ზოგი კიდეც შეინახა, ზედ წააფარა ლელია,  
თვითონ თივის ძირს წამოწეა,—თავს წამოადგა  
მველია.

„ნათლი ჯალაბო, არ გებრალები?..  
— მგელმა შესჩივლა მაძლარს მელასა—  
შიმშილით ვკვდები..., სუყველა მვლები

ძრწიან,  
 დაძრწიან,  
 ჰმიანთ ყევლასა...  
 მწყესებს არ სძინაეს,  
 ძალლები ღრინაეს,  
 ლამის შიმშილით სული გამვარდეს!..  
 მიშეველე რამე,  
 ღმერთი იწამე,  
 — გადამარჩინე ამ საშინელს დღეს....  
 უცებ წამოხტა მელა ცბიერი  
 და მოახსენა: — „ვაჲ შენს მელიას!..  
 როგორ დადიხარ აგრე მშიერი? —  
 შიმშილი, ვიცი, ძლიერ ძნელია...  
 ხომ დასუსტდები!... კუჭი აგტკივა...  
 აი, ნათლიავ, მიირთეთ თიეა!..  
 თუნდ მთელი ძირი...  
 ნულარას ჩიეი, ნულარა ტირი!...“  
 მაგრამ ჩევნ ვიცით,  
 ძალიან მტკიცედ,  
 რომ მგელი თიეას ექრ მოინელებს...  
 (არც უჭამიათ თაეის დღეში მგლებს...)  
 რომ მგელს თიეისგან ასტკივა ეშა,  
 რომ ხორცი უჯობს, თუ გინდა ძვალა,  
 მაგრამ მელიამ არ გაიხსენა,  
 იქ შენახული კარგი დედალი!..

---

ასე, ამგვარად, მელამ ნათლია

მოითათბირა, დაიმადლია,  
საწყალს გულს დაღი არ დააჩინა—  
და უვახშემოდ კი გაგზავნა შინა!..

### უვავი და მელა

**კ**რთხელ ერთს ყვაესა,  
შავ-ჭრელსა, აესა,  
(რომელიც არის წიწილის მტერი,)  
სადღაც ეშოვნა ყველის ნაჟერი,  
ნისკარტით მაგრა ჩასციებოდა,  
იჯდა ხეზელა,  
კენწეროზელა  
და იქ საუზმეს ემზადებოდა...  
ამ დროს ვამოჩნდა მაცოური მელა,—  
მოცუნცულებდა აქ ნელა-ნელა...  
მელიას ეცა ყველისა სუნი,  
შესდგა, გატრუნა, განაბა სული!..  
თვალს არ აშორებს ამ ყვაეს მელია..  
(აბა, შიმშილი ასე ძნელია!)

და აქევს კუდსა ეშმაკურადა...  
თაეი აჩენა ყვაესა მმურადა,  
უქადის დიდსა ერთგულებასა  
და მოჰყეა, ესრედ, მისსა ქებასა:  
„რა კარგი რამ ხარ, ჩემო დაია!  
შენ გენაცვალოს ჩემი თაეია!

სად დაიბადე აგეთი შენა?

ნეტა ვიცოდე, რამ დაგაშეენა?..

ერთი უყურეთ, რა ლამაზია,

რა ტურფა არის და რა ნაზია!..

- შეხედეთ ერთი, რა კისერია,  
რა მხატვრის კალამს დაუწერია?!..

შეხედეთ ერთი, რა ხელებია,

რა თვალებია, რა თვალებია!..

რა ნისკარტია, ვიშ რა ფრთებია,  
ვარღნი, იანი, მათთან კრთებიან!...

მაგ შეენებასთან — აღარ უნდა თქმა —

ვიცი გექნება ანგელოზის ხმა!...

ამდენ კეთილთან, თუ მღერაც იცი, —

მაშ აღარ უნდა აღთქმა და ფიცი, —

ჩენ გვეყოლები მფრინველთა მეფალ..

მე ვიცი მხოლოდ ძალური ყეფა,

მაგრამ შეეიძლებ დაფასებასა

კარგის გალობის... ვიტყვი ქებასა!..

მაშ მიყავ ერთი, დიდი წყალობა,

მასმინე შენი კარგი გალობა!..“

ამ გვარის ქებით ჩენს სულელს ყვავსა  
თავ-ბრუ დაესხა.. არ იღებს ხმასა...

ბოლოს უეცრად,

(ვგონებ უმეცრად)

სიხარულითა,

წმინდის გულითა,

შესჩავლა მწარედ!.. გაპეარდა ყველი!

ამას მელიამ აუხო ხელი  
და გააქცია, როგორც ბუმბული...  
ყვავი კი დარჩა პირ-დალებული!...

ცბიერება და პირ-მოთხეობა,  
ყველამ იცის, რომ მაენებელია,  
ერ გაეასწორეთ ჩეენი ზნეობა,—  
გამარჯვებული რჩება მელია!

### ც ნ თ ბ ი ს მ ო ყ ვ ა რ ე

**ა**ლო, სად იყავ?...  
— „მუზეუმშია“. „ნეტა რა ნახე მოწამლულშია?...“  
— „რა არა ენახე... რა გითხრა, ქალო?...  
ან როგორ უნდა ჩამოგითვალო?...  
ბუნებას რა არ გაუჩენია!...  
თეისი ძალა ზედ დაუჩენია!...  
რა მხეცებია, რა მფრინველებია,  
ბუზი, პეპელა, ჭინჭველებია!—  
სხეა და სხვა ფერად მოანათებენ,  
იქიშპებიან, მოკამათობენ...  
ზოგი ზურმუხტს ჰვაეს, ზოგი იაგუნდს...  
რომ გადაპედო პეპელების გუნდს,—  
ზოგი ლურჯია, ჭრელი და შავი,  
ზოგი წერილია, ვით ქინძისთავი,

ზოგს ზედ აყრია თეთრი ხალები...“  
 „სპილო არ ნახე?.. თითქო დევია...“  
 — „უი, დამიღვა ორიც თვალები! —  
 სპილო კი აღარ შემიმჩნევა!..“

### ღ თ რ ი

**რ**ოთხელ ლორი შეეთრია დიდი კაცის ეზოშია,  
 ფეხის-ადგილს წაექექა, ცხვირი ჩაყო თრმოშია,  
 მიატანა სანაგვესა,  
 თხრა დაუწყო სანეხვესა,  
 მერე ჩაწვა გუბეშია,  
 მოიტარტლა წუმპეშია,  
 იქ ხორცი ჭამა დამპალი,  
 და სულ ერთიან მოსერილი —  
 შინათვენ დაბრუნდა მყრალი!...  
 გზაზედ მწყემსი შეეხეჩა,  
 ჰკითხა: — „სად ყოფილხარ, ლორო?..  
 სად ყოფილხარ ამ დროს, ბეჩავ?..  
 სად დასერილხარ, ოჯახ-ქორო?!...“  
 ლორმა მიუგო: „არსადა... ბატონიანთას გახლ-  
 დიო...“

მწყემსმა სთქვა: — „თუ მართალია, შენ აგრე რო-  
 გორ წახლიო?..  
 თურმე აქვს თვალ-მარგალიტი, ფარჩის არ უნდა  
 ქებაო,

ხალიჩა, ოქრო და ვერცხლი ავ თეალს არ ენახე-  
ბაო!..

სულ მიუქარავთ! —ღორმა სთქვა — მთელი ეზო  
დავიარე,  
გადაეჩხრიკე, გადაექელე, გადაესჩიჩქნე, გადაესთხა-  
რე.


მაგრამ ძვირფასს განძეულსა მე იქ ვერსად შევე-  
ყარე!..

სიმდიდრე იქ ვერსად ვნახე, წუმპეთი კი გავი-  
ხარე!..“

—  
ვერეისა ვკადრებ მე ამ იგავსა,  
თუ არ კრიტიკოსს, — მათგანსაც აესა...  
მე ცხადად ვხედავ,

— და თქმასაც ვბედავ, —

რომ ზოგს კრიტიკოსს ნიჭი არ ახლავს:  
მარტო აეს ამჩნევს, კარგს კი ვერ აგნებს...  
მაშ მისი გესლი ჩეენ როგორ მოგვკლავს?  
მისი კალამი ჩეენ როგორ გვაენებს?!



## მელა და წაზუნი

**მ**ათ მირბიხარ, ნათლი-ჭალაბო?..“  
ზაზუნიმ ჰყითხა მელასა.  
„სამარე უნდა დაეიალაბო,—  
მოესძულებივარ ყველასა!..

ყბად ამომიღეს, თეალით შემჭამეს,  
 ცილი მომიდვეს, ქრთამი შემწამეს...  
 ეიღასაც ჭორი მოუროშია...  
 არ დამაყენეს საქათმოშია,  
 საღაც მე გახლდი დიდ ხანს მსაჯულად...  
 ეხედავ დამსაჯეს,—მერე რა სჯულად?!..  
 როგორ ვცდილობდი,  
 როგორ ვფთხოლობდი,  
 მე იქ დავლიე ჯანი და ლონე,  
 შრომა ვერაფრით ვერ მოეიფონე,  
 ძილი არ მქონდა და მოსეენება,  
 და მევე შემხედა ცილის-წამება,  
 რისხეა, წამება...  
 იყოს ლმრთის ნება!..  
 მაგრამ, თუ ცილით კაცი ისჯება,  
 ეიღა გამოვა, მითხარ, მართალი?..  
 აბა, საღა სჩანს აქ სამართალი?..  
 ქრთამი ავიღო?.. გავგიფდი განა?..  
 ცილი იქნება—და ამისთანა?  
 მე შენა გკითხავ, გიმოწმებ შენა,  
 თუ გინახეივარ ქრთამშია მენა?...“  
 — „არა, გენაცვა—სთქვა ზაზუნიამ—  
 თუნდ დაიფიცებს მთელი დუნია,  
 რომ შენზედ ცუდი არ გაეგონოსთ...  
 ჭორმა რად უნდა მაშ დაგაღონოსთ...  
 ყური აგეივსო შენშა ქებამა,  
 ჩემი შეიღების გახარებამა!..”

ქრთაში რას ჰქეიან?.. ეინ დაიჯერა?..  
 ეინ ჭორიკანობს, ის პირ-წყლიანი?  
 ეს კი მინახავს სამჯერ, ოთხჯერა,  
 რომ ტუჩი გქონდა ბუმბლიანი!..

---

ზოგსა თანამდებობაში,  
 ვერ მოასწრობ ვერა რაში....  
 აბაზს ნატრობს, ოხრავს, კვნესის,  
 შემოგტირის თავის დღეში,  
 მაგრამ ვიცით,  
 ვატყვი ფიცით,—  
 — მას არ ჰქონდა ფასი ნემსის,  
 არც მოუყვა ცოლს მზითევეში...  
 ბოლოს, ვხედაეთ: სახლს იშენებს,  
 კარგადა სჭამს, კარგადა ჰსეამს,  
 ჯოგებს იჩენს და დუქნებს სდგამს!..  
 საქმით ქრთაშს ვერ დაუმტკიცებ, რადგან პლუტია  
 ჰქეიანი,  
 თვალ-წინ კი გიდგას იმისი ტუჩები ბუმბულიანი!..

---

## ლომი წილადობაში



ომი და მგელი, ძალლი და მელა,  
 მეზობლად იდგნენ ესენი ყველა.  
 შეკრეს პირობა:  
 რაც დაიჭირონ,

მოინადირონ,  
 სწორედ გაიყონ, რომ გულძეირობა  
 არ შეუეიდეთ ერთმანეთშია...  
 არ ეიცი, რითა,  
 როგორ, რა გზითა,  
 მელამ იჩემი იგდო ხელშია...  
 ამხანაგებთან გაგზავნა კაცი  
 და მოიწეია, გაიყონ აწი...  
 მოგროედნენ უველა, მობრძანდა ლომი,  
 გაშალა კლანჭი, თითქო აქვს ომი,  
 ნანადირევსა გაუსო ხელი,—  
 გაგლიჯა ოთხად... უყურებს მგელი...  
 „ეს მე მერგება პირობის ძალით...  
 —წარმოსთქვა ლომმა თეალის ბრიალით,—  
 ეს მხედა, როგორც ლომს... არ ეიღებ მალეით...  
 ესეც მე შემხედა, როგორც ძლიერს ბოტს;  
 ამ ნაკრისყენ კი ვინც წამოჰყოფს ტოტს,  
 ვად იმის დღეს!—დაეუბნევ ტვინსა!—  
 იმაზედ ვიყრი სუყველას ჟინსა!...“

---

### ვ ი რ ი ღ ა ბ უ ლ ბ უ ლ ი

 უტრუკი შეპხედა ბულბულსა  
 და უთხრა: „შენებრ სულდგმულსა,  
 არეის უქებენ ხმასაო,  
 არეის უქებენ გალობას, გულმიტკივნეულად თქმასაო...

მეც გამაგონე, ძამიავ,  
 არც მე ვარ მღერის ხამია;  
 მეც დაეაფასებ შენს ცოლნას,—  
 არ ავიკიდებ შენს ცოლვას!...“

მოჰყენა ბულბული: დაპყიელა, დაჭსტეინა, დააზრიალა,  
 ხან მაღლა ფარდში ასწია, ხან წყნარად ჩაწერიალა,  
 ხან ძირს დაუშო ბუტბუტით, გაჩუმდა, შეიქაქანა!...  
 კელავ ტკბილი ენა  
 არ დააყენა,—

შორს მოისმოდა ბულბულის სტენა:  
 ხან ამაყი, ზაეთიანი, ხან წმინდა, ვით სალამური,  
 ხან გლოვის ხმით, სეედიანი, ხან ტკბილი და სა-  
 ამური!...

ტყეც ბანს აძლევდა,  
 სიო შეჩერდა,  
 ქველა მფრინელებმა გატრუნეს სული,  
 მწყემსიც კი თრთოდა  
 და უცინოდა,  
 ვისთვისაც იმას უძერდა გული!...

ეირმა ჩალუნა თაეი, დაბლა, ძირს...  
 (მეტი რა უნდა მოესთხოვოთ ჩვენ ეირს?...)  
 ბოლოს მან უთხრა ამაყად ბულბულს:

„მე გიგდებდი უურს!...  
 შენი ქება მსურს...  
 შენი გალობა—რომ ვთქვათ—არა მწყინს!...  
 კიდეც მომგერის ძილს...  
 მაგრამ



ცოტა რამ  
რომ დავესწავლა შენ მამლისგანა,  
აგვაშენებდი,  
დაგვაშენებდი,  
შეიქნებოდი შენც იმისთანა!...“

---

ცხრა მთას იქით გადიკარგა ამის გამგონე ბულბული...  
ლმერთო, ლმერთო, აგვაცილე ჩენც ამ ნაირი მსა-  
ჯული!...

---

### გ ვ ე ს ნ ი ღ ა მ დ ი ნ ა რ ე

**Q**ლეხნი ტიროდნენ,  
ასე სჩიოდნენ,  
მოთმინებიდგან გამოსულები:  
„აღარ შეგვრჩაო, სწორეთ სულები...  
რაკი რომ ცოტას წამოიწვიმებს,  
ხეები, ფშები  
და ლელოები,  
ადიდებიან,  
ალელდებიან,  
მოაგორებენ უშეელებელ ქეებს...  
ჩანთქეს მათ ჩეენი საცხოვრებელი:  
კრუხი, ქათამი კვერცხის მდებელი,  
ყანა, წისქვილი და საქონელი...  
წავიდეთ ჩეენ იქ, მავედრებელი,

რა მდინარეშიც ერთეიან ფშები,  
 ცეტი ხევები და ღელოები...  
 დიდი მდინარე წყნარია, მშეიდი,  
 დარბაისელი, ძლიერი, დიდი,  
 ზედ ქალაქებიც სდგას რამდენია,  
 მისგან აკლება არ ეს ჰსმენია...  
 უთუოდ მათაც ის დაამშეიდებს...“

მიეიდნენ წყალთან, იხდიან ქუდებს...  
 უცებ გლეხებმა იცით რა ნახეს?—  
 მათი ქონება იმ პატარა წყლებს  
 დიდ მდინარესთან მიჰქონდათ სულა!..  
 მაშინ გლეხებმა წამოიძახეს:  
 „ჩვენი ამაგი სულ დაკარგულა!..  
 ან სამართალი აქ სად უნდა გეხედეს!..  
 დიდიც ყოფილა მცირის ჭკუაზედ,  
 რადგან უმცროსებს უყოფს შუაზედ,  
 რაც რომ მას ცოდვით შეუძენია!..  
 ასე ყოფილა მათი თვისება  
 და სამართალი არ გველირება,  
 თუნდ აქ გაეჩერდეთ ჩვენი დღენია!..

### მ ე ლ ა დ ა ე უ რ მ ე ნ ი

**წ**ენახში მელამ შეხედა, ყურძენი წითლად ღუ-  
 ღდა,  
**ბ**უზები შემოხვევლა, ფუტკარიც იქვე ბზუ-  
 ღდა,

აურ-ჩამოუარა, ვერ შესწედა საწყალობელი,  
სთქვა: „მკვანეაო სრულებით, არ წამიწყდება მშო-  
ბელი!..

— არცა სჯობს ეგ სხვა ზილებსა,—  
მაშინევ მომჭრის კბილებსა!..“

### პ ე ლ ა ღ ა კ ი რ ი

**კ**აიდგან მოხეალ, თავფქვილავ?—

**კ**მელა ჰკითხაედა მუტრუქსა:—

**კ**ალარ ვმზერ შენსა ფუნდრუქსა,—

რად დაგეივიწყე, ღიდებილავ?...“

— „რა ვქნა, ჩემო ნათლის-დედავ,—

მან მიუგო მელიასა—

ლომთან ვიყავ ამ ღილასა,

დავგვიანდი, მეცა ვხედავ...“

„ლომთანაო?—ჰკითხა მელამ—

განა იქაც მისელას ჰბედავ!...“

თუ აიგდეთ თავი ყველამ!...“

სითამამე გაქეს ეგ ზომი?

საშენოდაც გახდა ლომი?..!“

— „რასა ბრძანებ, ნათლის-დედავ?—

სამჯერ ენახე ზედიზედა...“

რიღას ლომი, რიღას ციცა?...“

დაგარწმუნებ, ღმერთსა ვფიცავ,

აღარა აქეს ლომსა ძალა,

გაუთხელდა იმას მალა!...

აღრევ რომ დაიყვირებდა,— მთა დაიწყებდა ზანზარსა,  
გაერბოდი იმ მხეცისაგან, მომაყოლებდა კანკალსა...

ახლა კი გდია, როგორც რომ მორი,

მოხუცებული, უღონო მძოვრი!...

მისი არა მხეცს არ ეშინიან,

სამაგიეროს ახლა უხდიან:

ზოგი კბენითა,

ზოგი რქენითა!...“

„თუ აგრე არის,—ჰკითხა მელიამ—

შენგნით ხომ ლომის წყენა ძელია?...

სხეგბის სიბრიყეს როცა ჸედაედი,

შენ მაინც ეერას გაუბედაედი?...“

— „რა ნაკლები ეარ მე მითომ სხვაზე!...—

წარმოსთქეა ეირმა ოხუნჯურ ხმაზედ—

ორიოდ წიხლი მეც ეუთავაზე...“

მანამ გაქვს ძალა, მანამ გაქვს ლონე,

სუსტი არიან შიშისა მქონე,

და თუ დედი, ყველაზე უწინ, წიხლებს დაგაზელს

სუსტი—უსულო,

ყველა მაგდება და დაგიბრიყებს, ცულიანი და

მასთან უცულო!...

## გლეხი კაცი და მაღლი



რთსა გლეხსა, მომჭირნესა, ქონება რომ ვა-  
უდიდდა,  
იქირავა კარგი ძალლი და ამ გეარად გაუ-  
რიგდა:

პური აცხოს,

ბოსტანი რწყოს

და სახლ-კარიც მან დაიცოს.

იქნება ბრძანოთ: „ამის დამწერსა, ნეტა რა და რა  
მოუჩიმახამსო? —

ბოსტანის მორწყეა და პურის ცხობა ძალლისგან,  
აბა, ვის უნახამსო?

ეთქვათ ძალლმა შესძლოს,

უაროს ეზოს,

სხეა საქმისა კი რა გაეგება?..“

თაეი ეიმართლო, მომეცით ნება...“

მეც აგრე ესჯილი უწინ ევება,

მაგრამ შეეიტყე, რომ „ბროლიასა,“

(ძალლებში ნაქებს, პლუტს და კუიანსა),

სამივ ხელობა თავზედ უდეია...“

(ალისთვის, ეხედავ, რომ ეს ცუდია), —

„ბროლიას“ სამივ თანამდებობა გლეხიკაცისგან მიჰ-  
ნიკებია

და ჯამაგირი სამივ კაცისა, ამისთვის, მარტო ამ

ძალლს რგებია!...“

ყველაფერი ძლიერ კარგი!

— მან იტვირთა მძიმე ბარგი,  
მაგრამ გლეხი რაღას საქმობს?

რასა შერება, ნეტა, ამ დროს?...

— იმან ცხენი მოიმზადა —

და ხატიაბაში წაბრძანდა!

ამით საქმე გაუბრუნდდა...

ხატობიდან რომ მობრუნდა,

ნეტა იცოდეთ რა ნახა...  
(გაშტერდა, დაალო ხახა!...)

არსად პური გამომცხეარი,  
სულ გაუქურდეთ სახლ-კარი,

ან ბოსტანი სადღა არი!...

შემოიკრა თაეში ხელი,

„ბროლის“ მიეარდა ხელი,

— „ძალლო რად გამომჰქერ ყელი?...  
მე რა რიგად შეგვევედრე...  
სახლი როგორ დამახვედრე?!...  
მაშინ ძალლმა უპასუხა,

რაკი ნახა აღა სწუხა:

„პურის ცხობა არ ეიჩარე, რადგან ბაღს უჭირდა  
შელამდა ბალიც ვერ მოვრწყე, — რად იქნება ჩემი  
ბრალი?...  
ქურდებისაც მეშინოდა, სახლზედ უფრო მქონდა

მაგრამ სახლიც გამიძარცვეს, — რას ეიქმოდი მე  
საწყალი? —  
რადგან იმ დროს დაეპირე პურის ცხობა დიდი  
ძალი!...“

## გ ხ ტ ა დ ა ბ უ ლ ბ უ ლ ი

**ბ უ ლ ბ უ ლ ი** ატა ბულბულს მიეპარა, ისკუპა და დაიჭირა,  
მას დაუწყო ალერსობა: (თან კლანჭვები  
გაუჭირა)

„სუ ჩიტუნიავ,  
ნუ გეშინიან!

მე არას გერჩი თავის ღლეშია,  
არა გიშაეს-რა შენ ჩემს ხელშია:  
არა მსურს შენი ტანჯეა და ცემა,  
არც შეგქამ, ჩემი კნუტების მზემა! —  
ოლონდ იმღერე... გიქებენ სტვენას...  
პირველს მგალობლებს გიღრიან ენას...“

მე მიქო მელამ შენი გალობა;  
მეც გამაგონე, მიყავ წყალობა!...  
შენი გულისა,  
შენი სულისა!...“

შენ ხმა თურმე გაქეს ისეთი ტკბილი,  
რომ კაცს მოუვა ქრეილა და ძილი...  
მოჰყე გენაცეა!.. რაღასა ნაზობ?..  
რაღას წრიპინებ და არ მალხაზობ?...“

მაგრამ ბულბული თრთოდა, კუთაედა,  
კატის კლანჭებში ძლიეს-და სუნთქაედა!...  
„აღარ გაანძრევ მაშ მავ ენასა?...  
— განიმეორა ხელ-ახლად ციცამ,—  
ბრიყვი ყოფილხარ, გამჩენსა ვფიცამ!...“

მაგით ატყუებ შენ ქვეყანასა?...  
 მარტო წრიპინი, მარტო ჩხაეილი?...  
 ხომ კნუტებისაც მძაგს მე კნაეილი!  
 დაერჩი მელასგან მოცრუებული —  
 და ამან უფრო მომიკლა გული!...  
 ეხედავ სტენაში არ ხარ ვარჯიში,  
 შენ გალობისა არ მოგდგამს ჯიში!...  
 რახან არ იცი მღერა საჩემო,  
 ენახოთ როგორი გაქვს მაინც გემო!“  
 სთქვა და გამოხრა ჩეენი ბულბული,  
 ნიშნად-ლა დაპრჩა მარტო ბუმბული!...

---

## ჭრიჭრინა და ჭრანჭველა

 ტუნია, ლეგა-ჭრიჭინა მთელი ზაფხული გა-  
 ლობდა,  
 შეექცეოდა, დახტოდა, მანამ ბუნება სწყა-  
 ლობდა;  
 ლხინობდა, მყალსა ვერა რამ ვერ შეუხურა ბეწვია,  
 უცებ შეხედა, საბრალომ, ზამთარი წამოეწია!  
 შემოჭინა ველი, მინდორი, წარვიღნენ დღენი ლხე-  
 ნისა,  
 ჭრიჭინას გამხარებელი, გამქარევებელი სენისა,  
 როცა მას, ყოველ ჯაგის ძირს, უსრულდებოდა წა-  
 დილი,  
 მზად ჰქონდა სახლი და ბინა, ვახშამი, გინა საღილი!...

გაქრა ყოველი, დაზამთრდა, ჭრიჭინამ იყრძნო შიმ-  
შილი,

აღარა გალობს საბრალო, გამოეცალა სინსილი!..

ან ლხინი რაღად ეწვევა?

შიმშილით კუჭი ეწვება!..

დალონებულმა ჭრიჭინამ მიშმართა ჭიანჭველასა  
და ეველრება: „ნათლიავ, შენი შეიღების ლხენასა,  
მომხედე, ხელი გამიწყე, გამათბე, დამაპურეო,  
გაზაფხულამდინ იოლად წამილე, მიმსახურეო...“

ამისმა მსმენმა ჭინჭველამ, ჭრიჭინას ჰკითხა წყნა-  
რადა:

— „რას აკეთებდი, დაიავ, მთელი ზაფხული ბარადა?..

„რას ვაკეთებდი, დობილო?.. სად მქონდა მოკა-  
ლებანი:

ლილოში ეხტოდი, ვგალობდი, თაე-ბრუს მახევდა  
ძნობანი!..“

— „შრომის დროს თუ კი გალობდი — ჭინჭვე-  
ლამ უთხრა პასუხად —  
მაშ წადი ახლა იცყვე, — შიმშილისათეის რას სწუხ-  
ხარ?..

სისტემატიკური მუსიკური მუსიკური მუსიკური

გერი, ქიბო და თევზი



მხანაგებში თუ არა სუფეეს სიყვარული და  
სრული თანხმობა,  
იმათი საქმე უკულმა წავა, მაშინ იქნება მათი  
დამხობა!

თევზმა, გედმა და კიბომა,  
ქირა აიღეს ძალიან ბლობად:  
უნდა წაელოთ ბარგი მთებშია,  
თეითონ შეებნენ შიგ ურემშია!  
თევზი იზიდაეს მდინარესკენა,  
კიბო უკან სწევს, გედი—ცისკენა...  
არ იქნა საქმე ვერ მოაგვარეს,  
ურემი ცოტაც ვერ გააგორეს...

—  
თანხმობის გარდა, ყველა საქმეში უნდა შესწევდეს  
კაცს ცოტა ბედი,  
აქ კი—არ ვიცი—დანაშაული, რომელი იყო: კიბო,  
თუ გედი!...

— დარჩა ეს საქმე გაუგებარი—  
და დღესაც ბარგი ისევ იქ არი!...

## ბ გ ე ლ ი და მ წ ე ე მ ს ე ბ ი

**კ**ველი საითლაც მოძუნძულებდა, ცხერის ფა-  
 რეხისკენ ჩამოიტბინა,  
**შ**ეუცერიტინა მემცხვარებსა, საღაც რომ  
 იმათ ჰქონოდათ ბინა;  
 შეხედა, კარგი, დიდი ბატყანი ლაუკლავთ, მწვა-  
 დებს აშიშხინებენ,  
 ქოფყებს კი, იქვე, ცხვირი მიწაში წაუყეიათ და,  
 ჰგავს, იძინებენ...

ამის მნახველმა,  
 წარმოსთქეა მგელმა,  
 გაჯარებულმა, გულ-ამოსკვნილმა:  
 „ეხლა ხომ თავი წაგართოთ ძილმა,  
 მე რომ ეგ მექმნა — მომეწეოდით,  
 ძალლი და კაცი დამესეოდით,  
 ცას და ქვეყანას ერთმანეთს ჰკრავდით,  
 დამჯენჯდით, მცემდით, თოფით მომ-  
 კლავდით!..

## ბ ე რ ი ~ გ ა ც ი და მ თ ჭ ა მ ა გ ი რ ე

**ე**რი-კაცი მოდიოდა ტყიდგან სოფლად, შინა,  
 მოჯამაგირე თან ახლდა მოუძლოდა წინა.  
 ამათ დათვი შეეჩხა, ეცა ბერ-კაცს მჩეშა,  
 საცოდაეი წააქცია, ამოიღო ქვეშა!  
 — „არიქა, თელო, მიშეელე! — იძახის დათია —

ნუ მიღალატებ, გენაცეა, მოკალ დათვია!...“  
 მოჯამაგირემ შეჭმართა ალმასივით ცული,  
 ასეთი სტკილა დასვს შუბლში, რომ განაბა სული!..  
 მერე ხანჯალი გაიძრო, უფუკა ათვანა,  
 დათია გადაარჩინა, ხელი გადიბანა...“

დათია რაკი წამოდგა, მოსდგა თელუასა:  
 ლანძლავს..—თელუა ჩაფიქრდა და იქექავს თმასა!—  
 — „აბა, რა ჰქენი, შე ვირო, რად აიგდე თავი?  
 მითხარ, რაზედ წამიხდინე მშენიერი ტყავი?..“

### პლესი-გაცი და გველი

**ჭრი** ჩთს გლეხს შეუძრა შიგ სახლში გველი,  
 სთხოვა მტრობისგან აეღო ხული.

„დაემევობრდეთო, — ეუბნებოდა —

ეხლა სხვა ვარო, — ეფიგბუოდა —

ამ ზაფხულს ტყავი სულ გაეიძერო...“

გლეხმა მიუკო: — „შე ქეყნის მტერო,

გინდა მაცდინო და დამაჯერო?..“

გველი — ჭრელობას,

გველი — გველობას

სულ არ მოიშლის თავის დღეშია,

და თუ ეერ დასდექ შენ შენს ქერქშია,

ეერც მე გამიტან მევობრებშია!...“

ეხედავ, რომ ტყავი შენ გაქეს ახალი,

გული კი ისევ მტრული და მყრალი!...“

ამ სიტყვით კეტი მოიგდო წელსა  
 და თაეში სდრუბა შხამიან გველსა!  
 ამ გლეხმა ისევ ის ამჯობინა,  
 რომ გველს იქ სული გააფრთხობინა!...

### მ ბ ე ლ ი დ ა გ ა ტ ა

**გ**ველმა სოფელში შემოიჩინა,—  
 (უკან მოსდევდნენ მონაცირები)—  
**გ**ვსურდა ეშოენა მაგარი ბინა  
 და მათგან თაეი გადაერჩინა.  
 შემოხვდა კატა... „მიშველე, დაო,  
 — შესძანის მგელი ანატირები:—  
 სად დაეიმალო?..“ — „შენ ჩემო თაო!..  
 — მიუგო კატამ—ნუ სწუხარ, ძმაო...  
 აგერ ტიმოთე... მიდი წინ კარში,  
 გომში შეგიყვანს, — დაადე კლიტე...“  
 „არა, დობილო! მე ამ ზამთარში  
 მაგას მსუქანი ცხვარი მოესხლიტე...“  
 — „მაშ თუ გიშველის ჩეენი ტეტია“.  
 „ეაა, თუ მდრუბოს თაეში კეტია!...  
 ეგიც მემდურის ორს, სამს ცხვარზედა...  
 მე ვერ გავივლი მაგის კარზედა“.  
 — აბა დემეტრეს, ან სესიასა  
 სთხოვე—არ ,ნახავ მათთან ზიანსა,—

კარგნი არიან ორიე ძმანი“.

„არა, დობილო, ამ გაზაფხულზე

მავათიც ვირგე ერთი ქოსმანი!..“

— „მაშ, რას პირობ გაჭირებულზე? —

მღვდელს მაინც სთხოვე, — კარგი კაცია...“

„ამ ზაფხულს — გითხრა? — ძლიერ მშიოდა,

შემომექამა მაგის ვაცია...“

მას შემდეგ ჩემზედ ყველგან ჩიოდა...“

— „ნეტავი, ხელად, შენ ჩაგერბინა

დიაკვნისასა — თუ გინდა ბინა...“

„შემოდგომაზე — გამიწყრა ღმერთი —

მაგასაც აუკარ ბორილა ერთი!..“

— „მაშ, მითხარ, ვისი არ მოგიპარავს?..“

გოგიას იცნობ?.. ის დაგიფარავს.“

„გო... გი... ას?..“ რა ეთქვა?.. მოვტაცე კრავი!..“

„რა ეთხრა, ძმაო,

აუ და სეავო!..“

თეითონ ყოფილხარ ხალხთან პირშავი, კონკრეტულად კილასგან ელი შემწეობასა?..

მტერს ეინ გაუწევს მეგობრობასა?..“

ეხედავ, რომ შენთან არა ეინ სტყუა....“

ჩერებს ხალხს ექნება იმდენი ჭყუა,

რომ დაგახიონ ზურგზედ ეგ ტყავი!..“

ამ დროს მოცვეიდნენ მონადირები,

მგელს დაალეწეს ბრაზი კბილები!..“

—

ეს ზღაპარი კატის და მელის, მარტო მარტო

თუ ზნეობას არ შეგვიცელის,  
ამას მაინც დაგვასწავლის;  
„ვინც რა სთესა, მას მოიმკის.“

### მაიმუნი და სარკე

**ა**იმუნმა დაინახა თავის სახე სარკეშია,  
ჩაიცინა და იქ მყოფს დათეს ტოტი წაჰავა  
გვერდებშია,  
თან ჩაჰავითხა ჩურჩულითა: „თუ გინახავს შენს დღე-  
შია  
ამ ნაირი გონჯი ეინმე და უმსგავსო მხეცებშია?..  
ერთი შეხე ამ მანჭიას, ნეტა რას ჰვავს ეს ახმახი?  
სარკეშიც რომ თავს იწონებს, სწორედ არის გასა-  
ლახი!..

ამისთანა უხეიროს ნეტა ეხლა არ შევყროდი,—  
ერთი ბეწოც რომა ეგვანდე, უცებ ჯაერით გავს-  
კდებოდი...  
მგონია ჩეენს მეზობლებში ხუთიოდე ჰვაედეს ამას...  
თითო-თითოს ჩამოგითვლი, თუ კი გინდა, ამ ერთ  
წამას...“

აქ დათუნამ უპასუხა, პირუთნეველად მაიმუნსა:  
„აბა თავი შეადარე მას, ეინც შენ სარკეში გძულსა...  
რაღა მეზობლები გინდა?—სწორესა სცნობ, თუ კი  
გსურსა...“

მაგრამ დათუნიას სიტყვა ასცდა მაიმუნის ყურსა!

ზოგიერთს კაცს რომ უწუნებ მექრთამობას, გო-  
როტებას,  
თავის თავზედ არ ლებულობს, არც კი იმცნევს და-  
ცინებას;  
შენ რომ გიგოს ჩასძახოდე: „რად ჰგეეხარო გამ-  
კერელ მგელსა,  
ის იცინის, თავს მართლულობს და პეტრეზედ იშ-  
ვერს ხელსა!



### მაიმუნი და სარკე

**G**აიმუნმა თავის სახე დაინახა სარკეშია,  
დათეს ტოტი ჰყრა, წასჩურჩულა: „ამ უცნა-  
ურს სახეშია,  
თუ სცნობ ეისმე?.. ან რასა ჰგავს?—იღმანჭება იგ-  
რიხება;  
მე რომ იმას ვგეანდე რითმე, შიშით გული გამის-  
კდება!..  
გაშინე თავს დაეირჩობდი სირცეილით და მწუ-  
ხარებით...  
რომ ვთქვათ, ჩემს ნათლის-დედებში იპოვება ამ  
გვარები,  
წუთიოდე... თუ კი გინდა, წამოგითვლი თითო-თი-  
თოს...“  
აქ დათუნას ჩაეცინა და უთხრა მას: — „ის არა სჯობს,  
ნათლის-დედების თვლასა, მიუბრუნდე შენს თავს  
ცოტა...“

მაგრამ დათუნიას სიტყვაშ ჩაიარა ამაოდა!..

ამ გვარს მაგალითს ჩეენ ბევრსა ეხედავთ,  
 მაგრამ პირდაპირ თქმას ვერა ებედავთ,  
 ეერეინ ცნობილობს თავს ზღაპარშია!..  
 სხეას კი დასცინის მოელს ამქარშია!..  
 გუშინ არ იყო ეანოს ქრთამებზედ  
 ყველა ყვეიროდა... ამისთანებზედ  
 თეითონ ეანო კი თვალს მიშვრებოდა  
 და გიორგიშე ითითებოდა!..

— — —

## ლომი და მგელი

 ამი საუზმეს შეექცეოდა,  
 მხიარული ჩნდა ნაღირთა მეფე,  
 ბატყანსა პხრაედა ნაღირთ ხელმწი-  
 (კუში რაკი არ ჩაეტეოდა!..) ფე...

აქ ძალლის ლეკვიც დასუნსულებდა,  
 სუფრის გარშემო დაუნცულებდა,  
 ბოლოს სამზღვარსაც გადაბიჯა!..  
 ლომს კლანჭებიდგან ლუკმა წაგლიჯა!..  
 ამ გვარს ქცევაზე არ გაწყრა ლომი...  
 (ან კი რა იყო აქ გასაწყრომი?  
 ლეკვის გაწყრომას, რად იკადრებდა?  
 ან კი თაეს როგორ გაუყადრებდა?..)

ისევ წყნარ-წყნარა შეექცეოდა, მომა მის  
სახეზე რისხეა არ ემჩნეოდა.

ამის მნახეველმა, იქ შემოფმა მგელმა  
იფიქრა: „ლომი სუსტი თუაო, ჩემი შევის  
ჩემზედ გაწყრომა არ გაუავო, მეც  
ავაგლეჯავ ერთს კაი კერძსო, მის შევის  
დღეს მირჩევნია თუ გინდა ეერძსო...“  
აქ წაიწოდა ბატყნისკენ ტოტი,  
მაგრამ უტაცა ლომმა მკელს ყრონტი,  
შუა გაგლიჯა საწყალობელი,  
შეახრამუნა თეისი მგმობელი,  
და ასე ბრძანა ლომმა — ბატონმა:  
„ეის გაუბედა?! რისმა პატრონმა?...  
ლეკეს რომ დაეუთმე ცეტს და სულელსა,  
რად შეეარჩენდი თაეხედსა მგელსა?!..“

### ვირი და გლეხი

**Q**ლებმა ეირი ჩააყენა ყარაულად ბოსტანშია,  
ეირი გასუქდა ძალიან, აღარ ეტევა კანშია,  
მებალობს, გარბის, გამორბის, ძილი არ მო-  
სდის თეალშია,  
ფრთხილობს და აფრთხობს მფრინველებსა, მიერეკე-  
ბა კარშია!...

აღის ქრანებას — ბოსტნეულს ცხეირს არ და-  
 ადებს არა სჭამს,  
 არც სხეაზედ ჰყიდის, არც სხეას ჰშლნობს, არც  
 იღებს ჯილდოს და არც ქროამს,  
 მაგრამ ბოსტანს რა მოიყეანს,  
 (მოსავალს პირი არ უჩანს),  
 რადგან ეირმა სირბილითა ბოსტნეული სულ გა-  
 ქელა,  
 ამოაგდო კიტრი, წესეი და კოშბოსტო გაათხელა!..  
 გლეხმა კაცმა იზარალა, სისუსტით და სირ-  
 ბილითა,  
 ეირმა კი ის ამოაგდო: ერთგულობით — სირბილითა!...  
 ბოლოს გლეხმა შეუძახა: „მე შენ არ შეგაბერდები...“  
 აიღო კეტი და ეირსა სულ აუჭრელა გვერდები!...  
 მეზობლები იძახოდნენ: „ეირს კარგა მოუეიდაო,  
 თუ ჭკვა არ მიუწევდებოდა, სხეის ბოსტანს რაზედ  
 სცეიდაო!...“

---

გინდ ჩამომართოთ ფიტიცა,  
 ეირს არეინ ჰსარჩლობს ჩეენგანი,  
 მაგრამ შემცდარა ისიცა,  
 ვინც ეირს მიანდო ბოსტანი!

## მ გ ე ლ ი დ ა წ ე რ ი

**ქ**ვენ ვიცით, მოსლგამთ სიხარბე მგლებსა...  
 მგელი როცა სჭამს, არ არჩევს ძელებსა...  
**ქ**ერთს მგელს დაადგა ძეალი შიგ ყელში,  
 უწყაოლდ ყვდო უდაბურს ყელში,  
     ვეღარც ხენეშოდა,  
     ვეღარც კვნეშოდა,  
 აბრიალებდა ცეცხლივით თვალებს,  
 კუდებოდა, მაგრამ,— ვინ შეიბრალებს!  
     ამის ბეჭედა გამოჩნდა წერო...  
 მგელმა ანიშნა: „არ დაგიჭერო,  
     შემიბრალეო,  
     შემიწყალეო,  
 მოდი, მიშველე, მომეხმარეო,  
 თორემ სიკედილი მომდგა მწარეო!...“  
     წერო მიჰეარდა საწყალობელსა,  
 ყელში ნისკარტი ჩაუყო მგელსა,  
 (რომელიც ყვდო, როგორც რომ მოერალი),  
 იხმარა ხერხი, ლონეც დიდალი  
 და ამოართო ვეება ძეალი!..  
 მაშინ წერომა არ დააყოენა  
 საექიმოსი ცოტა რამ თხოენა,  
     მორიდებითა,  
     მოწიწებითა...  
 „როგორ მიბედავ? — იძახის მგელი —  
 გადაირჩინე თავი სულელი

და მით არც კი ხარ შენ მადლობელი?!.  
ერთი შეხედეთ ამ ყლაპიასა?!

კისერი უგავს მიწის ჭიასა...  
წადი აქედგან! ნუ მიშფოთებ გულს!....

არ ჩამიგარდე მეორედ ხელში,  
თორემ შენს ძელებს კი, კისერს და ბუმბულს,  
არ გავაჩერებ, იცოდე, ყელში!...“

### უ ვ ა ვ ი ს ბ ა ს ა ლ ა

იდგან არწიეთ დაეშო და ბატყანი მოიტაცა,  
მინამ მწყემსი მოუსწრობდა, დაანახვა იმას  
ჰეცა...

ყვავის ბახალამ შეხედა, ჩაიცინა, გაიოცა  
და სთქა: „კლანჭის კი არ გაეისერი ასე მცირე  
უერძნედ მეცა!..“

ნათქვამია ძეელთაგანა,

დაბალ ხალხში—გლეხთაგანა:

„მარხეა ვჭამო დოსთვინაო,

ქურდობა ვქნა ხბოსთვინაო!...“

სჩანს სვაევბშიც სუსტობს ზოგი,

რომ თეალწინ ჰყავს ცხერისა ჯოვი,

და ეერ არჩევს ბატყანს და ყოჩის,

ეტანება ქორფას და ნორჩის...“

აი, მე კი, რომ მინდოდეს,

მწყემსებს დავუყენებ შავს დღეს:

შევინაეარდებ, თუ მსურსა,  
და ლუქმას ავკრამ მეფურსა!...“

ამ დროს აფრინდა ჰაერში ყვავი  
და ცხერებს დასცემდა, როგორც რომ სვავი...  
დიდ ხანს აჩჩია მან დიდი კერძი,  
ბოლოს შენიშნა მსუქანი ვერძი...  
დაუშო დაბლა ფრთები, კანჭები  
და ცხერის მატყლს სტაცა მაგრა კლანჭები!...

გაება ყვავი,  
უჭყო, ბედშევი!..  
ბერი იჩხაელა და იფრთხიალა,  
უდროოდ თავი გაიტიალა!...

მწყემსმა დუქარდი გაუგდო ცხვარსა,  
მატყლი შეართო ყვავს უმეცარსა  
და რადგან იგი პბაძედა სვავსა,  
ორივე ფრთები შეჰკრიჭა ყვავსა!...

საწყალმა ყვავმა ბევრი იშფოთა,  
მაგრამ მალლს მისცეს სათამაშოთა!...

ჩევნშიაც პატარა ქურდი დიდი პლუტის მისდევს  
გზასა  
და საღაც დიდს პლუტს გაუვა, იქ ჯიბის ქურდს  
სთხრიან თეალსა!

## მუნწი და ქათამი

შენწი ცდილობს შეძენასა,—  
ძუნწობით ჰყარგავს ყველასა.  
მე არ მინდა შემოგვიცოთ,  
მსურს იგავით დაგიმტკიცოთ.

იყო, ვიღაც, ერთი კაცი:  
არც მუშავი, არც ზარმაცი,  
არ იცოდა ხელოსნობა,  
არც ვაჭრობის ახლდა ცნობა,  
მაგრამ მისი ზანდუხჩები,  
განჯინები და ბოხჩები  
ფარიჩით, ნუზლით, ვერცხლეულით,  
ოქროებით, განძეულით  
ივებოდა, ივსებოდა!...  
(ეს არ გაუკეირდებოდა?..)

ივსებოდა ყოველ დამე,  
მაგრამ, ამდენის პატრონი, კაცი იყო—ძუნწი რამე...  
ესეც შეიტყვეს, რად იყო შემძენი განძის, ვერ-  
ცხლისა:—  
თურმე მას ჰყანდა ქათამი, მდებელი ოქროს კევრ-  
ცხისა!...  
სხვა კაცი ვინმე ამისთვის ღმერთს შესწირებიდა  
მადლობას,  
ძუნწი კი, მისი თეალ-გული, სულ ვერ გაეძლო ამ  
ზღვნობას!...  
იფიქრა: ქათამს დავკლაშო და შიგ ვიპოვი მადანსო,

მაშინ ეიცხოვრებ სჯულზედო, მოეკვდები—თან  
ეინ მატანსო...  
დაკლა ქათამი, კვერცხის მდებელი, ძუნწმა ალქეი-  
ტა მარდად ყურები,  
კუჭმი მაღანი ვერსად იპოვა, დაურჩა მარტო ში-  
განურები!...

### ბ ბ ე ლ ო დ ၊ ბ უ გ უ ლ ო

**ქ** შეიდობით, დაო, მშეიდობით,— მგელი გუ-  
გულსა ეუბნებოდა,—  
მოტყუებული თურმე ვყოფილვარ, აქ მყუ-  
ღროება მეგულებოდა!..  
ძალლით-კაცამდინ მე მემდუროდნენ,  
მმტრობდნენ და ჩემი სისხლი სწყუროდენ!...  
ანგელოზადაც რომ გადაეიქცე,  
არ მოიშლიან ცემას, კბენასა,  
ამომაძრობენ პირში ენასა,  
არც კი მაცლიან საღმე გავიქცე!...“  
— „სად მიბრძანდებით თქეენ ასე ჩქარა?...“—  
გუგულმა ჰეითხა ბატონს მგელს წყნარა,  
მორიდებითა,  
მოწიწებითა.—  
„სად მივალ?— რალა საკითხაეთა?...“  
მე თუ აქ ვიყავ მგელი—სეავია,  
რიღასთვის დავდგე ამ ქეყანაში,

საჩოთინებლად მტრებისა თვალში!...  
 ... მიეალ პირდაპირ ბეღნიერს ხალხში,  
 (აღმოსაფლეთში,  
 ან საბერძნეთში),  
 სადაც ვიცხოვჩებ ტყეში, ან სახლში,  
 სადაც რომ კაცი — ამგელოსია,  
 ძალლი კრავის ტყავს შეუმოსია;  
 ძალლმა არ იცის, არამც თუ კბენა,  
 არც ყეფა!... მშეიდად უჭირავს ენა...  
 მიეალ, იქ ვპოვბ მყუდროებასა,  
 ნეტარებასა, სიტყბოებასა!...  
 სადაც, წყლის ნაცელად, რაჯ მოჩანჩქარებს,  
 წყურეილსა გისპობს, გულსა ახარებს!...  
 აქ კი დამფუხალი მაქეს მუდამ ძილი,  
 არამც თუ შემხედეს მე ლუკმა ტკბილი...  
 მშეიდობით, დაო!...“  
 — „მშეიდობით! მაგრამ... შენ ჩემო თაო!...  
 ვხელავ კბილვბიც თან მიგაქვს, ძვაო?...  
 მაშ ჩეცულებას თავს თუ ანებებ?...  
 ხასიათსაცა? — კარგად ინებებ!...“  
 „ჩეცულებაო?!. არა, დობილო!...  
 — „მაშ, შენ გახსოვდეს, ჩემო ძმობილო,  
 თუ არ დასტოვებ შენსა ბრაზებსა,  
 შემოგამტვრევენ ორსაც გაზებსა!...  
 თუ იქაც იქენ, როგორც აქ, ავი,  
 შემოგეხევა ეგ მრეში ტყავი!...“

ეინც ხასიათით ცუდია—  
 (ბოროტებისა ბუდეა;  
 ეინც ჩვეულებით ავია—  
 მისთვის ყველა პირშევია!...  
 იგი მუდამ აღრენს ხახას,  
 კარგს ვერ ხედავს, ყველას სძრახავს,  
 ყველას კბენა ამას სწყურის,  
 ლანძლებს ის ვერ მოუღლება,  
 ყველას თეოთონვე ემდურის,—  
 ვერსად კი ვერ გაუძლია!...

---

### მაიმუნი და სათვალეები

 როს მაიმუნს, სიბერის დროს, თვალში და-  
 აკლდა ჩინია,  
 სწუხს და იძახის: „რად ვეარგვარ, მაჯობებს  
 მურე ფინია,  
 რა მოვახერხო, არ ვიცი?—ლამის დმებნეს ტეინია,  
 მიქებენ სათვალეებსა და ვერსად შემიძინია...  
 გაეპო კიდევ სწორედა,  
 თუ—აღარ მახსოვს—ჭორადა,  
 რომ თვალთ სინათლის დაკლება ადამიანშიც ხში-  
 რია  
 და თუ სათვალეს იშოების, ბეცობა რალა ჭირია!...  
 ადგა და ჩამოითხოვა,  
 სათვალეები იშოვა,

ათიოდ, კარგი მინისა,  
(წაშალი თვეალის ჩინისა...)

ზოგს იყიდებდა გულზედა,  
ზოგი მოიბა კუდზედა,  
ზოგს ჰსუნაეს, ზოგიერთს ჰლ კავს,  
მაგრამ არ იქნა, საცოდაეს,  
არ გაუნათლა დღეები...

არ იქნა, არ გამოადგა, ამდენი სათვეალეები!...

„რა მიშეწია, ნეტავეი? —

ამას ჩიოდა ბედშავი —

სათვეალეს ყველა ძლიერ ადიდებს,  
რაღან ყველაფერს თურმე ადიდებს;  
მე კი არაფერს არ მომეხმარა...

მეყო სიბრიიყე, მოვტყული, კმარა!...“

გაჯავრებულმა,

გაბრაზებულმა,

გადარეულმა ჩევნმა მანჭიამ

იმ სათვეალეებს სტაცა კლანჭია

და ისე რიგად ანარცხა ქვასა, გაშტერდებოდა სწო-  
რედ კაცია:

ეს ამოდენა სათვეალეები დაფშენა, დალეწა, სულ  
მტვრად აქცია!...

ზოგიერთთა ზოგიერთის არ იციან ფასი,  
იმათოებს ყველა ერთია კენჭი და ალმასი;  
თეთო უმეცრები არიან, ჰლანძლაენ სწავლასა,  
სათვეალეს კი კუდზედ იბმენ, ხან ურტყამენ ქვასა!...



## ს პ ი ლ თ ს ა ე რ ი ს თ ა თ ზ ე

**ქ**ამომავლობით ვინც ჩომ დიდია  
და ძლიერებაც თუ ხელთ უგდია,  
თუ ჭკვაც არ შესწევს—მოსარიდია,  
თუ გულ-კეთილობს—უფრო ცუდია.

სპილო იჯდა ერისთავად ერთს უდაბურს ტყეში,  
კაშხები კატად მოჩანდა იმასთან სისქეში,  
ჭკუაზედ კი სუსტი იყო ამოდენა ლეში,  
თუმცა სპილო ჭკვათ იქნების, ვიცით, თავის დღეში...  
მაგიერში ერისთავი კეოილი რამ ბრძანდებოდა,  
ჭიანჭველას არ გასჭყლეტდა, ისე შეებრალებოდა!...  
ერთს დღეს ცხერებმა ერისთავსა,  
გულწრფელსა და გულმართალსა,  
მოართვეს არზა და საჩინარი,  
თეისი ჩასწერეს მათ სატკიცარი:  
„ერისთავო, გვიპატრონე, მგლებმა სულმთლად აგვი-  
კლესო,  
ტყავი აღარ შეგვარჩინეს, ბატკნები სულ დაგვიკლე-  
სო!...“

ამასმა მსმენმა შეჰყეირა სპილომ:  
— „მაცა, ისინი როგორ დაგზილო  
და მავალითით სხვაც გავაფრთხილო!...  
რაზედა ჰყელეფენ საწყალობლებსა?...  
ან გაძრცეის ნება ვინ მისცა მგლებსა?...“  
ამ დროს წარმოსდგნენ მგლები ერთადა

და მოასენეს სპილოს ერთხმადა:

„დიდო ბატონო,

ჩვენო პატრონო!

თქვენ არ გვიბრძანეთ ქურქად, ზამთარში,  
მობოჭვა თითო ტყავისა ცხვარში?...“

მაშინ სპილოშა, დიდმა ბატონმა,  
წარმოსთქვა წყნარად ერის პატრონმა:

— „მაშ რას ჩიფიან ეკ სულელები?...“

არა სტყუფიან ამაში მკლები...“

ცხერებს აუგდიათ, მე ვხედავ, თავი!—

თითოს შეხედება სულ თითო ტყავი...“

და ვგეტა ჰშურთ?!.“

ახლა კი, თუ გსურთ,

თითო საქურქე მობოჭვეთ, მგლებო...“

(მე პოროტება ძლიერ მძღლს, ძმებო....)

მეტი კი—ზეწვიც არ შეუხაროთ,

თორემ გაეწყრები თქვენს სამწუხაროდ!...“

### მ გ ე ლ ი დ ო გ რ ა ვ ი



ლიერზედ ხშირად ამბობენ, მძლავრიაო და აეია,  
ზღაპრადაც ასე იტყეიან

და ჩვენ ამ გვარად გვისწნიან,

ეითომც უძლური ძლიერთან მარადის დამნაშავეა!...“

პაპანებაში, სიცეში,

ჩანჩქარის ახლო, დიდს ტყეში, მაგ.

კრავი ჩაეიღა წყალზედა, (მასა სწყუროდა ძალზედა)

და მანამ იქ წყალს დალევედა, —

გამოჩნდა მგელი, ცხვრის აუქი  
ცხვართ სისხლის მსმელი... და მარტი  
(თურმე მახლობლად დაწარწილებდა...)

და რა იხილა ბატყანი,

სულ აუქრუოლდა მას ტანი!

მშიერმა მგელმა კბილები გალესა, გააკრაჭუნა,  
გადმოხტა ლაწი-ლუწითა, ფოთლები შეაფაჩუნა

და რომ მას ქცევა არეინ უძრახოს,

ჰპედავს კრავს ასე შემოუძახოს:

„შენ რას მიჰქარავ, რომ მე წყალს მიმღვრევ?  
მაგისთვის, იცი?... გვერდებს დაგამტერევ!“

მიუკო კრავმა,

მშეიღმა და წყნარმა:

— „ეპა ძლიერო და დიდებულო,  
ჩემო ბატონო, ყველგან ქებულო!...“

რაზედ მიწყრებით?

რას მემართლებით?

თქვენა ხართ ზევით,

მე წყალს ესვამ ქვეით,

თქვენგან მალვითა,

თრთოლევით, კრძალეითა


და თქვენის შიშით....“

— ასე ნაბიჯს დაბლა მე რას დავიშლიოთ?!...“

„მაშ, მენა ეტყუი?!..  
 სიცრუეეს ელმუი?...“  
 ჰკითხა კრაქს მგელმა,  
 მრისხანემ, ხელმა...  
 დაალო ხახა  
 და შეუძახა:  
 „ჰქედაეთ ამ ყბედსა?...  
 აუტანია წერას და ბედსა?..  
 გაგიგონიათ?.. ჰქედაეთ ამ ბრიყვს კრაქს?..  
 ამ თაეხედობას როგორ მიბედაეს?!..  
 ჯერ ძეელიც მახსოვეს შენგან ის წყენა,  
 შარშან წინ, აქ რომ გამლანდე შენა!...“  
 — „შარშანწინაო?.. ენაა მტრისა....  
 მე ხომ არც კი ვარ ჯერ ერთი წლისა?...“  
 „მაშ ძმა თუ იყო შენი, ან დედა,  
 ან ბიძაშეილი, ან ნათლიდედა?...“  
 — „მე ობოლი ვარ... მე ძმა არა მყაფს.“  
 „რა შენალელება!.. ყველა შეზა გგავს!...  
 თქვენ სუყველანი, თქვენი მწყემსები,  
 თქვენი ქოპკები—ძალლის თესლები—  
 ცდილობთ შემასხათ თქვენი გესლები,  
 გულს მყრათ მახეილი, როგორც ნემსები,  
 მაგრამ მათს ცოდვას შენ გაზღვევინებ...“  
 — „სხეის ცოდვის ულელს რად მაწევინებ?..  
 ერთი მიბრძანე: რა დავაშავე?...  
 ოხ, ღმერთო, ღმერთო, რა მეშინიან!...“  
 „გაჩუმდი, კმარა!.. მე გავათავე....“

— შენ ხარ შემცოდე მით, ორმ მე მშიან!...“

რაკი ესა სოქვა, კრატეს სტატა ხელი  
და იმის ხორცით გამოძღვა მგელი!...



### ბ ჟ ბ ჟ ლ ი დ ა თ რ ბ ი

**წ**ყალობა გასტა თრბმა ერთხელა და ბულბუ-  
ლობა მისტა გუგულსა,  
გუგულიც შეჯდა მალლა ვერხეზედა, გასძა-  
ხის, მითომ ჰბაძაეს ბულბულსა!...  
ეინც გაიგონა — შემოეცალნენ,  
ზოგი დასტინის, ზოგნი ჰლანძლავენ!  
ჩეენმა გუგულმა ძრიელ იწყინა,  
ჩაუიქრდა დიდ ხანს, ბოლოს იფრინა  
და საჩივლელად მოეიდა ორბთან...  
„ვერ გამიძლია, მეფევ, მფრინელებთან...  
შენის ბრძანებით, მე ებულბულობდი,  
შენის ჯილდოთი მე ედიდგულობდი,  
ეიძახდი „კუკუ“ და „კათათვესა“ \*)  
დაულცხომელად, სულ ყოველდღესა;  
იმათ კი შესკულათ ჩემზედ სიცილი,  
თითქო ქათმისა ეყო წიწილი!...“  
ამაზედ ორბმა მიუვო გუგულს:  
— „რისთვის იწუხებ, შე სულელო, ვულს?...“

\*) იტყვიან, ვითომ, ზოგჯერ, გუგულის ძახილში ის-  
მოდეს სიტყვა: „კათათვე“.

რომ ენახე შენი მე ერთგულობა,  
 მისთვის ვიბოძე შენ ბულბულობა;  
 მე ვბრძანე მხოლოდ, ვიცნონ ბულბულად,  
 და რად ჩაიმჩნევ, შენ, გულში წყლულად,  
 ბულბულად რომ ეერ გადაგაქციო?...  
 მთელი ქვეყანა რომ დავაქციო,  
 მაინც ეერ შეესძლებ შეუძლებელსა...  
 — ლმერთი ხომ არ ვარ? — მეფე ვარ დღესა.

### პ ა ტ ი ა დ ა მ ზ ა რ ე უ ლ ი

**პ ა ტ ი ა** რთს ლოთს მშვარეულს,  
 წყურეილ-მორეულს  
**დ ა** მომჩინანსა თვისის ბედისა,  
 აღაპი ჰქონდა ნათლიდედისა,  
 რომ შეასრულოს თავის სურეილი,  
 კიდეც მოიკლას ღეინის წყურეილი,  
 შაბრუნდა იქვე სამიკიტნოში,  
 მოსთხოვა კარგი თართისა დოში,  
 სთქვა: „ნათლიდედის სულს მოვულხენო“,  
 და გადაუსო კახური ღეინო!  
 იქ წასელის დროს კი ყველა მასალა:  
 ფქვილი, ნიგოზი, ბრინჯი, არტალა,  
 კარგი ვარია, ხარში წენიანი,  
 (რომ არ მიეცათ თავეთა ზიანი)  
 სულ ჩაბარა შინაურს ციცას...

ამ საქმეს ციტაც ეყრ გადაჭვიცავს...  
ორგულობაში,  
მსუნავობაში

კატა არ იყო ჯერ შემცნეული,  
და რა დაბრუნდა შინ მზეარეული,  
ნეტა იცოდეთ იმან რა ნახა...  
სწორედ გაშტერდა, დააღო ხახა...  
და ისე თქვენს მტერს გაუხარია,  
როგორც მზეარეულს!...

აღარ ჩანს ქადა,  
(რომელიც დილას მან დაამზადა),  
აღარც გარია!...

თურმე ყარაულს  
საუზმის ჭამა რომ მოსდომოდა,  
გადაეთრია ერთი წიწილი  
(ზატონის წილი),

ძმრის ქოცოს გვერდზედ ამოსჯდომოდა,  
შემწეარს წყნარ-წყნარად ახრამუნებდა  
და თან კი ყუჩებს აბარტყუნებდა!...  
რა დაინახა ეს მზარეულმა,  
გაშფოთებულმა, გულ-ამლერეულმა,  
მოსდგა ციცასა ამ სიტყვებითა:  
„მე აღარ ვიყავ შენის ქებითა  
და თაგვებისა მორიცებითა  
შენ ჩაგაბარე სამზეარეულო;  
შენ კი რა მიყავ?... შე... შე წყეულო!...  
არა გრცხევნიან? მსუნავო, ლორო...“

რაზედ დამლუპე, შე ოჯახ ქორო?!

ყველა გაქებდა აქამდისინა,  
სამაგალითოდ ჰყვანდით თვალ-წინა,  
ახლა კი... ახლა... გაგიცნეს გვიან...  
ან მეზობლები რაღას მეტყვიან?!

— „შენი ციცუნა მსუნავიაო,  
ტყუილად სახლში რას გივდიაო,  
სულაც არ არის ის საკეებიო,  
სახლში არ არის შესაშვებიო!...  
რაზედ დამლუპე? რად შემარცხეინე?  
ან მტერი ჩემზედ რად გააცინე?!

მანამ ჩენი მზეარეული ასე ტყბილად ქადა-  
გებდა,  
კატამ წიწილი გამოხრა, ნელა-ნელა ალაგებდა!

შე რომ ეხედავ ამ საქმეში მზეარეული შესცდა  
მითა,

რომ სიმკაცრის მაგიერად ქადაგებდა ნაზის ხმითა;  
შე რომ მისი ვყოფილიყავ, ავილებდი ერთსა კეტსა  
და ციცას, საყვედურის ნაცვლად, მიეამტკრევედი  
ორსაც გეერძსა!..

## გ ლ ე ს ი ა კ ა ც ი დ ა თ ს ა



ლეხმა კაცმა სამართალში გაიწევა თხა,  
ამაზედ გამოიჩინა ბიჭობა და ფხა...  
მელა იჯდა მსაჯულადა, საქმეში ამბობენ  
ჩეარსა,  
კითხვა მისცა მოპასუხეს, კითხვა მისცა მომჩინეარსა:  
თუ რა მოხდა, როგორ იყო, რით მტყუნდება დამ-  
ნაშევე,  
ან თხა თაესა რით მართლულობს,—სწორე უნდა  
სთქვან ორთავე...

მოჰყეა გლეხი: „დილით ადრე, მე ქათმები დავითეალე,  
მაკლდა ორი, ჩაეუფიქრდი, ვერ დაეხელე ისე მალე,  
ბოლოს ვნახე, ჯაგის ძირას, მარტო ძელები და  
ბუბბული!..

იმ ღამეს კი საქათმოსთან თხა ყოფილა—ეს სულ-  
დგმული....“

თხა წამოდგა, მოახსენა:—„მე იმ ღამეს მეძინაო,  
საქათმოში რა მინდოდა, რა უნდა შემეძინაო?..

გინდა ჰყითხეთ მეზობლებსა,  
გინდ მოყვარეს, გინდა მტრებსა,  
რომ მე აეაზაკობაში,  
ცუდს საქმეში, პლუტობაში,  
არამც თუ არ უნახეიდართ,  
ჭორადაც არ უძრახეიდართ,  
და ტყუილსაც ვერ იტყვიან, თუ გინდა კიდეც დაუ-  
ქრთამო,

რაღაც სუყველამ იციან, რომ მე სახორცეს არ  
ეჭამო....“

მელამ რომ ეს მოისმინა,  
ამ ნაირად გააჩინა:

„ნუ დაუჯერებთ ნურაფერს თხასა...

(არ ამოილებს ხომ სწორედ ხმასა...)

პლუტო წესია, რომ ჰელართვენ კვალსა!..

საქმიდვან კი სჩანს, რომ იმ ღარესა,

როცა ქურდობა თხას შესწამესა,

თხა იქ ყოფილა, საქათმოს გვერდზედ  
და მაგის ბედზედ,

ხელად არა ეინ არ შეპხედრია,

რომ სულ გვერდები შემოემტვრია!..

ამასთან ეიცით,

მართლად და მტკიცედ,

რომ ქათმის ჯიში გემრიელია

და თხისგან მათი შეუჭმელობა—ეიტყე სულ ქვეშა—  
სწორედ ძნელია!..

ამისთვის ვაჩენ: თხა ჩამოირჩოს,

(რომ ბოროტება ეგებ მოისპოს)

ხორცი მიერთოთ: მსაჯულს, მლივანსა,

ტყავი კი—მარტო გლეხს—მომჩინეანსა!...“

## გლესი-კაცი და გველი



რომ ეიღაც გლეხი-კაცი და მეგობრდა გველსა...  
(იგანე რასმე მოგახსენებთ დიალ ძელის-ძევ-  
ლსა...)

გველი ხომ ჭყიანი არის, ყველამ ვიციო ესა,  
გლეხსაც მოსწონს, ეფერება, ჰუიცავს ამის მჩესა!..  
მაგრამ ყველა მეზობლები დაეთხოეა გლეხსა,  
არც ნათესავნი მისდევენ, მისას არ სდგმენ ფეხსა...  
მაშინ გლეხი მიუბრუნდა და ჰკითხაედა ყველას:  
„რა შეგუღდეთ, რომ მიწყრებით თქენენ მე ამოტელას?  
ხელი რისთვის აიღევით ჩემზედ ერთიანად?..  
ნეტა ჩემი პურ-მარილი თუ აღარ გაამათ?..  
ან ჩემ ცოლს თუ ემდურებით, ეერ დავიხედათ წმინდათ,  
თაეის დროზედ, რიგიანად, ეერ გაგიმასპინძლდათ?..  
— „არა, ძმაო, — უპასუხა მეზობელმა ამას: —  
„მასპინძლობა რასა ჰქეიან, ვინ იგონებს ჭამას,  
არცა-რა ვის აგონდება შენგნით რამე წყენა,  
გეფიცები, არა ვტყუი, მამი-ჩემის ლხენამ!..  
მაგრამ, აბა, შენვე ბრძანე, ვინ მოვა შენთანა? —  
ისეთი მეგობარი გყავს სახლში, კედელთანა,  
რომ სუსელა ერიდება იმის შხამს და კბენას...  
და ამისავე მიზეზით — შემდეგ შენსა წყენას...  
გველს ხომ შენ ეერ გამოუცვლი კბილებსა და ენას?..“

## მამალი და მარგალიტი



ამალი ნაგავსა ჰქოქდა და იპოეა მარგალიტი,  
სთქვა: რა უბედური ეარო, მჯობიაო ყველა  
ჩიტი...

ან ამ მძიეს რაზედ აქებენ?  
ამით ხომ თაეს არ იკვებენ?...  
ან ეინ დასდო დიდი ფასი?..  
თუნდა რომ მომცენ ათასი,  
მას მირჩევნია დამბალი,  
კარგი თაეთუხის ხორბალი!..

რა უყო მე ამ მარგალიტს, ჩემთვის ამარს, ფუჭსაო,  
მე ხომ ეს ვერ დამაშვენებს და ვერც გამიძღობს  
კუჭსაო....“

---

უმეცარნიც იგრე სჯიან:  
ფასი რისაც არ იციან,—  
ყველა ფუჭად მიაჩნიათ!..

---

## თ რ ი თ ი ნ ა



ომს ახლდა თრია... არ შევალ სჯაში:  
როგორ, რა რიგად, რა ხელობაში;  
მხოლოდ გეითხეს კი, რომ მისი ხლება,  
ლომს თურმე მოსწონს და იამება...  
ამისათვის ლომს უნებებია,

ერთს უჩემს კაკალს დაპირებია...  
 დაპირებია, მაგრამ—სად არი?...  
 ჯერ არას აძლევს მხეცთა მთავარი!...  
 თრია კი, ზოგჯერ, მშერიც არი...  
 მას არ გაელო წყალობის კარი!..  
 მაშინ, როდესაც სხვა თრითინები  
 (ჩეენი თრითია ძმები და დები),  
 დახტიან, ტუჩებს აცმაცუნებენ,  
 კაკლებსა ჰლრნიან, აკნატუნებენ!...  
 ჩეენი თრია კი ფეხს ვერსად გასდგამს,—  
 ლომთან იხმობენ საწყალს იმავ წამს!...

ამ სამსახურში დაბერდა თრია,  
 ბევრი იშრომა, ბევრიც ეთრია  
 და რაკი ბატონს ლომსაც მოსწყინდა,  
 სამსახურიდვან გაეიღა წმინდად...

ერთი უჩემი მისცეს კაკალი:

სულ მოწეული,  
 სულ არჩეული,  
 მაგრამ რას უზამს თრია საწყალი?—  
 მას აღარც ერთი კბილი არ უდგას!—  
 რით დამტერიოს?—ლოკოს, თუ რა ქნას?...

## ო რ ა გ უ ლ ო



რაგულზედ საჩივარი სამსაჯულოს მოახსენეს...  
 თურმე წყლები აამტუტა და სხეა თევზებს  
 არ ასევნებს:  
 ზოგსა სდევნის დაუცხრომლად, ზოგსა ჰკბენს და  
 ზოგსა ჰყლაპაეს,  
 ამ თევზს ვერ ვინ გადაურჩა ჯიშით მოუსევნარს  
 და აეს....  
 დაბეჭლების საბუთებიც წარადგინეს დიდის  
 უოფით,  
